ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2559976

ნომერი: AR1379336

თარიღი : 01.03.2016

გაცემის თარიღი : 26.04.2016

გაცნობის თარიღი : 26.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარნოვი , N 76 ; ქალაქი თბილისი , ჩიხი ბარნოვი III , N 4 ; ქალაქი თბილისი , ჩიხი ბარნოვი III , N 4 , ნაკვეთი 28/015 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ სულაძე პ/ნ 01024014895
- საირმის გორა #2

ორგანიზაცია:
- არქი გრუპი კოდი: 400113532

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17.02.2016 წ. #AR1379336 განცხადებით მომართა მიხეილ სულაძემ (თანაგამცხადებელი: რუსუდან დოლიძე) და მოითხოვა 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში

ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით #01.15.02.028.004 (625 მ2) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმცხადებელი ითხოვს პირობებში დამატებით #01.15.02.028.009 (383 მ2) და #01.15.02.028.015 (219 მ2) საკადასტრო ერთეულის გეგმის დამატებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 1227 კვ.მ. საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.15.02.028.004, #01.15.02.028.009 და #01.15.02.028.015;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული საკადასტრო გეგმები (საკადასტრო კოდი #01.15.02.028.009 ფართობი 383 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #012007048963, რეგისტრაციის თარიღი 17.05.2007 წ. და საკადასტრო კოდი #01.15.02.028.015 ფართობი 219 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882013530230, რეგისტრაციის თარიღი 01.11.2013 წ.);
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს შენიშვნები: პროექტის შეთანხმების სტადიაზე მოხდეს აღნიშნული საკადასტრო ერთეულების გაერთიანება და ერთ საკადასტრო ერთეულად წარმოდგენა;
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული დანართი, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დატანით;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2014 წ. #1311308 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად
6. წინამდებარე ბრძანებას დამატებითი დოკუმენტაციის სახით დაემატოს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს #10 04.03.2016 წლის , ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს #12 24.03.2016 წლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს #22 21.04.2016 წლის სხდომების ოქმები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 1–680 25.04.2016 და 1–682 25.04.2016 ბრძანებები.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.